

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

შპს ტექპლიუსი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის,

რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო
სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)


ფინანსური მდგომარეობა

(ქართული ლარი)

		შენიშვნა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3		7,607	46,504	14,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2		301,738	66,579	-
გადახდილი ავანსები			6,332	-	-
მარაგები	1		157,490	133,189	53,255
სხვა მოკლევადიანი აქტივები			1,433	3,991	8,106
ძირითადი საშუალებები			1,081	-	-
სულ აქტივები			475,681	250,263	76,258
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	4		290,922	154,234	116,401
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები			-	-	-
სხვა ვალდებულებები			-	-	-
სულ ვალდებულებები			290,922	154,234	116,401
საკუთარი კაპიტალი					
კაპიტალი			67,500	35,000	35,000
საემისიო შემოსავალი			-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები			-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			117,259	61,029	(75,143)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი			184,759	96,029	(40,143)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			475,681	250,263	76,258
სულ მოკლევადიანი აქტივები			474,600	250,263	76,258
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			290,922	154,234	116,401

დირექტორი:

გიორგი ნავროზაშვილი


მთავარი ბუღალტერი:

მანანა ლომთათიძე



შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

საქმიანობის შედეგები
(ქართული ლარი)

შენიშვნა

		31/12/2019	31/12/2018
ამონაგები	5	2,110,056	2,433,101
თვითღირებულება		(1,192,133)	(1,694,032)
საერთო მოგება		917,923	739,069
დასაქმებულთა ანაზღაურება		(350,649)	(385,789)
იჯარის ხარჯი		(33,960)	(30,518)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(425,778)	(174,677)
სულ საოპერაციო ხარჯები		(810,387)	(590,984)
საოპერაციო მოგება		107,536	148,085
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(3,787)	(1,568)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(47,519)	(10,345)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		56,230	136,172
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი		56,230	136,172
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		96,029	(40,143)
კაპიტალის გაზრდა		32,500	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		184,759	96,029

დირექტორი:

გიორგი ნავროზაშვილი


მთავარი ბუღალტერი:

მანანა ლომთათიძე



შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2019	31/12/2018
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(71,397)	31,607
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	32,500	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(38,897)	31,607
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მა	-	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	46,504	14,897
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,607	46,504

დირექტორი:

გიორგი ნავროზაშვილი



მთავარი ბუღალტერი:

მანანა ლომთათიძე



შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ზოგადი ინფორმაცია

შპს ტექპლიუსი („კომპანია“) დაარსდა 2016 წლის 15 ივლისს, მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი ნავროზაშვილი, პ/ნ 01027064748

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში (ონლაინ ვაჭრობა)

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, I მ/რ, კორ. 15, ბ. 122

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას N 16 ა

კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით.

ცვეთა. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ცვეთის დასარიცხად გამოყენებულია წლიური განაკვეთი 20 % (სასარგებლო ვადა 5 წელი)

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად, აღიარდება რეალური ღირებულებით, რომლებსაც არ ერიცხება პროცენტი და წარმოადგენენ მოკლევადიან ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019
ლარი/აშშ დოლარი	2,8677

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

საქონლის რეალიზაცია შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება.

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა,

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

შენიშვნები

1. მარაგები

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ბალანსი მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	01.01.2019
საქონელი	157 341	131 250
საწვავი	143	58
შესაფუთი მასალები	6	1 881
სულ მარაგები	157 490	133 189

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო მოთხოვნები	299 671	66 479
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2 067	100
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	301 738	66 579

3. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	01.01.2019
ფული ბაკში	7 058	1 412
ფული სალაროში	549	45 092
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 607	46 504

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

4. სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო
ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო ვალდებულებები	290 922	154 234
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	290 922	154 234

5. საოპერაციო შემოსავლები

შემოსავალი რეალიზაციიდან	2 363 927
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-253 871
სულ საოპერაციო შემოსავლები	2 110 056

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

რეკლამის ხარჯები	205 140
მიწოდების და ტრანსპორტირების ხარჯი	175 509
საპენსიო ფონდის დანარიცხები	6 426
კომუნიკაციის ხარჯები	5 292
დაზღვევის ხარჯი	3 533
კომპიუტერული ინვენტარის შენახვის ხარჯი	1 456
საგადასახადო ხარჯი	491
საბანკო მომსახურებიდან ხარჯი	2 028
სხვა საოპერაციო ხარჯი	25 903
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	425 778

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

შპს ტექპლიუსი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო პარტნიორებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.